



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

ქ. ოზურგეთი

13 აგვისტო 2014 წელი

დადგენილება №5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო *ადგენს*:

მუხლი 1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბი და დროშა, თანახმად დანართისა.

მუხლი 2. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის აღწერილობები თანახმად დანართისა.

მუხლი 3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის გამოყენება და დაცვა განხორციელდეს “თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოთა გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 31 მაისის №363 ბრძანებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის ორიგინალების შენახვის ადგილად განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.

მუხლი 5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის დაცვის უზრუნველყოფა დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

მუხლი 6. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გერბისა და დროშის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 14 მარტის 8 დადგენილება.

მუხლი 7. დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 13 აგვისტოდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დარჩია



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბი



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დროშა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბი

გერბის ფარი გადაკვეთილია სამ ნაწილად. ცენტრალური ზურმუხტის ველი ფარის სიმაღლის $\frac{1}{2}$ -ის ტოლია. ზურმუხტის ველი, მის ზემოთ არსებულ ლაჟვარდის ველისგან გამოყოფილია ტალღისებურად. ლაჟვარდის ველი ფარის სიმაღლის $\frac{1}{4}$ -ის ტოლია. ზურმუხტისა და ლაჟვარდის ველებზე, მოთავსებულია ოქროს ფიგურა: სვეტი, რომელიც ბოლოვდება ჯვრით და მწოლიარე ლომი, რომელსაც მარჯვენა თათით უპყრია მახვილი. ლაჟვარდის ველის მარჯვენა კუთხეში გამოსახულია ვერცხლის ცხრაქიმიანი მნათობი. ქვედა სევადის ველი წარმოადგენს გერბის სიმაღლის $\frac{1}{4}$ -ს და გადაკვეთილია სამი ვერცხლის ტალღისებური სარტყლით.

გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი - სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხე-სიმაგრის ფორმის), ნახევრად ღია კარიბჭით.

ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მეწამული ბაფთა, რომელის ვერცხლის ველზე შავად ჩაწერილია დევიზი - „ოზურგეთი“.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დროშა

დროშის ქსოვილი ვერტიკალურად გაყოფილია ორ ტოლ, ლაჟვარდისა და ზურმუხტის ველებად. ლაჟვარდის ველზე გამოსახულია ოქროს ჯვარი, რომელიც ზომით დროშის სიმაღლის $\frac{3}{5}$ -ს ტოლია. დროშის პროპორცია: $\frac{2}{3}$.